EBRD საქართველოში

შედეგების მიმოხილვა

2016-2021

European Bank
for Reconstruction and Development

ზოგადი მიმოხილვა

EBRD საქართველოში 1994 წლიდან ახორციელებს თავის საქმიანობას. EBRD-ის მთლიანმა ინვესტიციებმა დაახლოებით 4,6 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო 2016-2021 წლების განმავლობაში ინვესტიციების მოცულობა 1,5 მილიარდ ევროს აღემატებოდა, რაც ქვეყანაში EBRD-ის ჩართულობის მეტად გააქტიურების შესაძლებლობებზე მიუთითებს.

საქართველოში ბანკის მოღვაწეობის სტრატეგიული მიმართულებებია:

- კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა და მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs)
- მდგრადი ფინანსური სექტორი
- მდგრადი ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური მომსახურება
- ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია.

EBRD-ი ასევე სულ უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას ეკონომიკურ ჩართულობაზე, მათ შორის, ინფრასტრუქტურაზე, ფინანსებსა და უნარებზე უკეთეს წვდომაზე. Covid-19-ის პანდემიის დაწყების დღიდან, ბანკი მიზნობრივ ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს EBRD-ის სოლიდარობის პაკეტის მეშვეობით, რათა დაეხმაროს კლიენტებს კრიზისის ზეგავლენის დაძლევაში.

ჩვენი შედეგების მიმოხილვა 2016-2021

SME-ების ზრდა

ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის 61 პროცენტმა, რომელსაც EBRD-ი უწევდა საკონსულტაციო დახმარებას, 59 პროცენტით გაზარდა დასაქმება და უფრო პროდუქტიული გახდა.

მდგრადი ფინანსური სექტორი

ჩვენ განვახორციელეთ ინვესტიცია ქართულ ლარში დენომინირებულ პირველ გარანტირებულ კორპორატიულ ობლიგაციებში და გამოვეცით პირველი ევრო ობლიგაცია ლარში. ადგილობრივი SME-ების მხარდასაჭერად გამოყოფილი ჩვენი დაფინანსების თითქმის 75 პროცენტი განხორციელდა ლარში.

ენერგოდანაზოგები

გაანგარიშებებით, ჩვენი ინვესტიციები 20 მილიონ GJ-ზე მეტ პირველად ენერგიას დაზოგავს წელიწადში, რაც 450,000 შინამეურნეობის წლიური ენერგიის მოხმარების ექვივალენტურია.

მეტი სუფთა ჰაერი

EBRD-ის ინვესტიციებმა წვლილი შეიტანა წელიწადში 1.4 მილიონ ტ-ზე მეტი CO_2-ის ემისიის შემცირებაში. ეს ქვეყნის გზებზე 300,000-ზე მეტი მანქანის მოძრაობიდან ამოღების ექვივალენტურია.

EBRD საქართველოში

სულ	2016-2021
€4.6 მილიარდი	€1.5 მილიარდი
ჯამური ინვესტიციები	
269	88
პროექტების რაოდენობა	
79%	
კერძო სექტორში ჯამური ინვესტიციების წილი	
€1 მილიარდი	€703 მილიარდი
მწვანე ეკონომიკის ფინანსირება	

ჩვენი ჩართულობა პოლიტიკის დასახვაში

- საჯარო-კერძო დიალოგი ინვესტორთა საბჭოს მეშვეობით
- ენერგოეფექტურობა, ენერგეტიკის სექტორის ლიბერალიზაცია და გაუმჯობესებული რეგულირება
- საჯარო-კერძო პარტნიორობა
- ფინანსური ბაზრის განვითარება
- მდგრადი სამთო-მოპოვებითი საქმიანობა
- ფაქტორინგის კანონმდებლობა
- სახელმწიფო შესყიდვები
- საექთნო და სამეანო პროფესიების გაძლიერება
- წაიკითხეთ EBRD-ის სტრატეგია საქართველოსთვის

საქართველო კონტექსტში

ბოლო ათწლეულში საქართველომ აჩვენა ძლიერი ეკონომიკური ინდიკატორები. კოვიდ-19-ის პანდემიამდე, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის წლიური მაჩვენებელი საშუალოდ 4,5 პროცენტს შეადგენდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო საერთაშორისო ვაჭრობით და ფულადი გზავნილებით. პანდემია განსაკუთრებით უარყოფითად აისახა ამ მცირე და ღია ეკონომიკაზე. 2020 წლის განმავლობაში საზღვრები მეტწილად დაკეტილი იყო, საერთაშორისო ტურიზმი (ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი) მთლიანად შეჩერდა და ეკონომიკა 6 პროცენტზე მეტით შემცირდა. თუმცა, 2021 წელს ეკონომიკის აღდგენა სწრაფი ტემპით გაგრძელდა: EBRD-ის პროგნოზით 7,5 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდაა მოსალოდნელი, რაც 2019 წლის დონეზე მაღალია.

წლების განმავლობაში საქართველომ ფართომასშტაბიანი რეფორმები გაატარა, რომლებმაც სახელმწიფოს და ეკონომიკის გარდაქმნას შეუწყვეს ხელი. დღეს, EBRD-ს გარდაქმნის ექვსი მიმართულებიდან, ქვეყანა უსწრებს რეგიონულ საშუალო მაჩვენებელს ოთხი მიმართულებით. კერძოდ საქართველო არის შედარებით კონკურენტუნარიანი, კარგად მართული, მდგრადი და ინტეგრირებული. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების (WGI) მიხედვით, საქართველოს აქვს კარგი მარეგულირებელი ჩარჩო: 2020 წელს ქვეყანა 209 ეკონომიკას შორის 83.7 პროცენტულ ადგილზე იყო.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაუმჯობესებელი. EBRD-EIB ქვეყნის უახლესი დიაგნოსტიკა და 2019 წლის საწარმოთა კვლევა მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის მთავარ დაბრკოლებებზე: პოლიტიკური არასტაბილურობა, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის სირთულე და არასაკმარისად მომზადებული სამუშაო ძალა. კვლევა ასევე ავლენს დიდ გენდერულ განსხვავებებს ბიზნეს შესაძლებლობებსა და უმაღლესი დონის მენეჯერული პოზიციების ხელმისაწვდომობას შორის. ამ გამოწვევებთან გამკლავება, ისევე როგორც ფართო ჩართულობის და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება, ხელს შეუწყობს საქართველოს პროდუქტიულობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	საქართველო (2016)	საქართველო (2021[1])	OECD კომპარატორი[2] (2021[1])
მშპ ერთ სულ მოსახლეზე, PPP (მუდმივი 2017 საერთაშორისო $)	12,964	13,999	46,552
კერძო სექტორის ეროვნული დაკრედიტება (მშპ-ს %)	58.7	79.9	136.0
სასკოლო განათლების წლები სწავლაზე მორგებით	8.9	8.3	11.3
უმუშევრობა, ახალგაზრდების საერთო რაოდენობა (მთლიანი სამუშაო ძალის % 15-24 წლის ასაკში) (ILO-ს მოდელირებული შეფასება)	35.7	39.7	14.1
მარეგულირებელი ჩარჩოს ხარისხი, პროცენტული (0 არის ყველაზე დაბალი რანგი, 100 არის უმაღლესი	81.7	83.7	90.5

ჩვენი მიდგომები და საოპერაციო შედეგები

EBRD მხარს უჭერს კერძო სექტორის განვითარებას ინვესტიციების, პოლიტიკის დიალოგისა და ტექნიკური დახმარების კომბინაციით. ჩვენ ვთავაზობთ ფინანსური ინსტრუმენტების მთელ რიგს, როგორიცაა პირდაპირი მხარდაჭერა, ასევე პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით მხარდაჭერა. ჩვენ ასევე ვთავაზობთ საკონსულტაციო მომსახურებას და ტექნიკურ დახმარებას კლიენტების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ჩვენ ჩართულები ვართ პოლიტიკურ დიალოგში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა შევქმნათ ხელსაყრელი პირობები მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

ბოლო წლებში ჩვენი ინვესტიციების მთავარი სამიზნე იყო მდგრადი ინფრასტრუქტურა: ჩვენ ხელს ვუწყობთ უკეთეს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, მხარს ვუჭერთ ამბიციურ მწვანე ქალაქის პროგრამებს (თბილისი და ბათუმი) და ვაფინანსებთ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ბანკის პოლიტიკის დიალოგი მოიცავს ინვესტორთა საბჭოს (კერძო-საჯარო სექტორების დიალოგის პლატფორმა უკეთესი ბიზნეს-კლიმატის ხელშესაწყობად), კაპიტალის ბაზრების განვითარებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ან საჯარო და კერძო პარტნიორობებს.

დონორთა თანადაფინანსება და ქმედითი თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ქვეყანაში ჩვენი წარმატებული ოპერირების საწინდარია. ეს მობილიზაცია მოიცავს როგორც ფლაგმანურ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, როგორიცაა ელექტრო ავტობუსები ბათუმისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის მოდერნიზაციის დაფინანსება ან DCFTA-თან შესაბამისობის ხელშეწყობა. კლიმატის ღონისძიებების სპეციალიზებული დაფინანსება ასევე სულ უფრო ცენტრალურ ადგილს იკავებს ბანკის მუნიციპალურ და ენერგეტიკულ პროექტებში.

ჩვენ ვცდილობთ დავეხმაროთ ქვეყნებს დემოკრატიულ და მდგრად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში. ჩვენ ვაფინანსებთ პროექტებს, რომლებიც აძლიერებს კერძო სექტორს იმ ეკონომიკებში, რომლებიც კარგად ფუნქციონირებად საბაზრო სისტემის დამკვიდრების გზაზე გარდამავალ ეტაპზე იმყოფებიან. საინვესტიციო გადაწყვეტილებებში ჩვენ ექვსი „გარდაქმნის პრინციპით" ვხელმძღვანელობთ, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანი, კარგად რეგულირებული, მწვანე, ინკლუზიური, მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკის შექმნაზე.

დეტალური ინფორმაციისთვის გარდაქმნის პრინციპების შესახებ იხილეთ: www.ebrd.com/qualities

EBRD-ს სკალა
(1 - ყველაზე ცუდი, 10 - საუკეთესო)



EBRD-ს ინვესტიციები



პორტფელი სექტორების მიხედვით



[1] ან უკანასკნელი ხელმისაწვდომი
[2] OECD-ის კომპარატორი არის OECD-ის რვა ქვეყნის მარტივი საშუალო მაჩვენებლები: კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და ჩეხეთი.

EBRD საქართველოში

კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, მცირე და საშუალო ბიზნესი

2016-2021

მდგრადი განვითარების მიზნები

4 QUALITY EDUCATION | 8 DECENT WORK AND ECONOMIC GROWTH | 9 INDUSTRY, INNOVATION AND INFRASTRUCTURE | 10 REDUCED INEQUALITIES

კერძო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში, მაგრამ არსებობს მთელი რიგი კრიტიკული გამოწვევები. სამუშაო ძალის უნარები სულ უფრო მეტად შეუსაბამობაში მოდის ბიზნესის განვითარებად საჭიროებებთან, რაც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე დაბრკოლება ხდება კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის. მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs), განსაკუთრებით დედაქალაქის გარეთ, დაფინანსებაზე წვდომის სირთულეებს განიცდიან. გარდა ამისა, საქართველოს პროდუქტიულობის ზრდას ხელს შეუწყობს ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა და რეგიონული განსხვავებები. მიუხედავად იმისა, რომ საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მეტწილად აჭარბებდა მშპ-ს ზრდას ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საექსპორტო კალათაში კვლავ დომინირებს დაბალი დამატებითი ღირებულების მქონე საქონელი. კერძო სექტორს ასევე სჭირდება ადგილობრივი ბიზნესგარემოს შემდგომი გაუმჯობესება.

EBRD-ს სკალა
(1 - ყველაზე ცუდი, 10 - საუკეთესო)



როგორ ვმუშაობთ ჩვენ

საქართველოში EBRD მხარს უჭერს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას მეტი ინოვაციების, გაძლიერებული დამატებითი ღირებულებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან და ვალდებულებებთან დაახლოების გზით. ჩვენ განსაკუთრებულ მხარდაჭერას ვუწევთ მცირე და საშუალო ბიზნესს მიზნობრივი საკრედიტო ხაზების და ფლაგმანი საკონსულტაციო და უნარების განვითარების პროგრამების მეშვეობით. ესენია სამრჩევლო დახმარების გაწევა მცირე ბიზნესისთვის (ASB), პროგრამა - ქალები ბიზნესში (WiB) , და Blue Ribbon პროგრამა. ჩვენი პოლიტიკის დიალოგის მეშვეობით (მაგ. ინვესტორთა საბჭოს პლატფორმა) ჩვენ ვეხმარებით საქართველოს საუკეთესო მარეგულირებელი პრაქტიკის დანერგვაში და საინვესტიციო კლიმატის გაძლიერებაში.

EBRD საქართველოში

მთლიანი	2016-2021
€645 მილიონი	**€298** მილიონი

ჯამური ინვესტიციები მრეწველობაში, ვაჭრობაში და სოფლის მეურნეობაში

€204 მილიონი	**€60** მილიონი

ჯამური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში

€656 მილიონი	**€386** მილიონი

ადგილობრივი SME-ების მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება

ბმულები

- „მცირე ბიზნესის ინიციატივა“
- სამრჩევლო დახმარება მცირე ბიზნესისთვის
- პროგრამა „ქალები ბიზნესში“
- პროგრამა „Blue Ribbon“
- ინვესტორთა საბჭო

EBRD-ს პროგრამა „ქალები ბიზნესში“ უზრუნველყოფს დაფინანსებას, ბიზნეს რჩევებს, ტრენინგს და მენტორობას ქალების ხელმძღვანელობაში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესს.

მიღწევები და შედეგები: კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, მცირე და საშუალო საწარმოები

ჩვენ ხელს ვუწყობთ მცირე და საშუალო საწარმოებში უკეთესი ბიზნეს სტანდარტების დანერგვას და უნარების განვითარებას შემდეგი გზით:

- მცირე ბიზნესისთვის საკონსულტაციო დახმარების მიწოდება ადგილობრივი და საერთაშორისო კონსულტანტების მეშვეობით, მცირე ბიზნესისთვის სამრჩევლო დახმარების პროგრამის ფარგლებში, რითაც 400-ზე მეტმა მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო სარგებელი, მათ შორის 94-მა ქალის საკუთრებაში არსებულმა მცირე და საშუალო ბიზნესმა, და თბილისის გარეთ მდებარე 113-მა მცირე და საშუალო ბიზნესმა.
- მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობა ტრენინგებით, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ ევროკავშირის და DCFTA სტანდარტები. მათ შორის, პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისთვის.
- სამი სწრაფად მზარდი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა „Blue Ribbon“ პროგრამით, რომელიც გვთავაზობს კონკრეტულ ბიზნესებზე და სექტორებზე მორგებულ დაფინანსებას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ექსპორტს და ეკონომიკის მაღალი ღირებულების წარმოების პოტენციალის მქონე სექტორებს:

- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დახმარების გაწევა HACCP და ISO სერთიფიკატის მიღებაში, რომელიც აუცილებელია მოწინავე ბაზრებზე ექსპორტისთვის.
- იმპორტისა და ექსპორტის საქმიანობით დაკავებული მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა „ვაჭრობისთვის მზაობის“ ინიციატივის ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობს ვაჭრობის დაფინანსებისადმი წვდომას და სთავაზობს მათ ვაჭრობასთან დაკავშირებულ ბიზნეს რჩევებს.
- ადგილობრივი ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერა ახალ დაწესებულებებში ინვესტირების, საექთნო პერსონალისა და ბებიაქალების ტრენინგების გზით (მაგ. სს სამედიცინო კორპორაცია ევექსთან ერთად).

ჩვენ ვეხმარებით ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას:

- ინვესტორთა საბჭოს მეშვეობით საკანონმდებლო რეფორმების მხარდაჭერა ბიზნეს კლიმატის გასაუმჯობესებლად. ეს მოიცავს ცვლილებებს მეწარმეთა შესახებ კანონმდებლობაში, საინვესტიციო კანონში, ან გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობაში.
- სხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან და სხვადასხვა სუვერენულ დონორებთან კოორდინაციის ხელშეწყობა ქვეყანაში უკეთესი საინვესტიციო კლიმატის ხელშეწყობისთვის.

მცირე და საშუალო საწარმოების ზრდა

EBRD-ის მიერ კონსულტირებული მცირე და საშუალო საწარმოების 72%-მა გაზარდა გაყიდვები, რაც ჯამში 144 მილიონი ევროს დამატებით ბრუნვას შეადგენდა. მცირე და საშუალო საწარმოთა 61%-მა დაიქირავა მეტი ადამიანი, რითაც ჯამში 3531 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

პროდუქტიულობის ამაღლება

EBRD-ის მიერ კონსულტირებული მცირე და საშუალო საწარმოების 59%-ი უფრო პროდუქტიული გახდა.

ექსპორტის ზრდა

EBRD-ის მიერ კონსულტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის 12%-მა შეძლო თავისი ექსპორტის გაზრდა. მთლიანობაში, ჩვენი საქმიანობის შედეგად ახალი ექსპორტის მოცულობამ 21,6 მილიონ ევრო შეადგინა.

გაუმჯობესებული უნარები

EBRD-ის მხარდაჭერით ჩატარებული ტრენინგ პროგრამები 1426 ადამიანს დაეხმარა კვალიფიკაციის ამაღლებაში. მათგან 168 ქალია, რომლებმაც WiB პროგრამის ფარგლებში გაიარეს ტრენინგი.

„EBRD-ის საკონსულტაციო პროექტი დაგვეხმარა ჩვენი ბიზნეს სტრუქტურის ორგანიზებაში, პროცესების, მენიუების, შესყიდვების მართვაში. ჩვენ ახლა უფრო ძლიერები ვართ, და გვაქვს სამომავლო განვითარების ზუსტი გეგმა.“

მაკა ჯიბუტი, თბილისში მდებარე რესტორნის „ბარბარესთან“ მფლობელი

მეტი ინოვაცია

EBRD-მა ხელი შეუწყო ისეთი ქართული ფირმების ზრდას, რომლებმაც ახალი საქონელი ან მომსახურება შესთავაზეს ქართულ ბაზარს: 2012 წელს არსებული 9%-დან 2019 წელს მათი რაოდენობა თითქმის 43%-მდე გაიზარდა.

უკეთესი ბიზნეს გარემო

EBRD-ის მიერ ინვესტორთა საბჭოს მხარდაჭერით კარგი შედეგები იქნა მიღწეული. 2020 წელს, საქართველომ მე-3 ადგილი დაიკავა იმ ქვეყნებს შორის, სადაც EBRD-ი ოპერირებს (და პირველი ადგილი რეგიონში) WGI-ს რეგულირების ხარისხისთვის მინიჭებული ქულის მიხედვით, რაც ასახავს მთავრობის უნარს ჩამოაყალიბოს და განახორციელოს საღი პოლიტიკა და რეგულაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კერძო სექტორის განვითარებას.

შედეგების ამსახველი პრაქტიკული მაგალითი

იხილეთ როგორ ვუჭერთ მხარს ქალ მეწარმეებს საქართველოში

EBRD-მ ძლიერი პარტნიორობა დაამყარა სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფთან (GHG), ჯანდაცვის მომსახურების უმსხვილეს პროვაიდერთან საქართველოში. წაიკითხეთ, როგორ დაეხმარა ჩვენი მხარდაჭერა GHG-ს ექვსი მსხვილი საავადმყოფოს ადაპტირებაში Covid-19 პაციენტების საჭიროებებზე.

წაიკითხეთ როგორ დაეხმარა EBRD და მისი დონორები თბილისში მდებარე რესტორანს „ბარბარესთან“ გაფართოებაში და საქმიანობის გაუმჯობესებაში პროგრამით „ქალები ბიზნესში“.

EBRD საქართველოში

მდგრადი ფინანსური სექტორი

2016-2021

მდგრადი განვითარების მიზნები

საქართველოში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა ფინანსური შუამავლობა. მთლიანი აქტივების მოცულობა კი თითქმის გაორმაგდა. საბანკო სექტორი კარგად იმართება და რეგულირდება, ასევე სათანადოდ კაპიტალიზებულია, სტაბილურად მომგებიანია და მეტნაკლებად ეფექტურია რეალური სექტორისთვის კრედიტების მიწოდებაში. თუმცა, ბიზნესებისთვის ფინანსებზე წვდომა კვლავ რჩება ძირითად გამოწვევად რადგან არსებული შეფასებით, კომპანიების დაახლოებით ერთი მესამედისთვის კრედიტი დღემდე ხელმიუწვდომელია. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილს ეუბნებიან უარს, ფირმების უმეტესობა არც კი მიმართავს საკრედიტო ხაზებს. მთავარი შემაკავებელი ფაქტორი კვლავ მაღალი საპროცენტო განაკვეთებია. ეკონომიკის დოლარიზაცია კვლავ მაღალია, რაც ბანკებისთვის ეკონომიკური კრიზისის და ვალუტის მერყეობის საკრედიტო რისკად ტრანსფორმაციის საფრთხეს ქმნის. ნაკლებად განვითარებული ადგილობრივი კაპიტალის ბაზრები და არასაკმარისი ფინანსური სიღრმე დამატებით შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს გრძელვადიანი ზრდისთვის.



როგორ ვმუშაობთ ჩვენ

EBRD მხარს უჭერს ფინანსური სექტორს გაუმჯობესოს ფინანსებზე წვდომა, მათ შორის, სხვადასხვა საკრედიტო ხაზების მეშვეობით ადგილობრივი პარტნიორი ბანკების საშუალებით. ჩვენი მიზანია სხვადასხვა სექტორებში წარმოდგენილი მეწარმე ქალების უკეთ მოცვა, მათ შორის, მწვანე, და სოფლის მეურნეობის სექტორებში. ჩვენი მიზანია ფირმების დაფინანსების წყაროების გაფართოება კორპორატიული ობლიგაციების გამოშვებაში მონაწილეობის და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით. ჩვენ ვმუშაობთ ეროვნულ ბანკთან კაპიტალის ბაზრების და რეგულირების გასაძლიერებლად. ჩვენი ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური სექტორის მაღალი დოლარიზაციის საკითხის გადაჭრისკენ არის მიმართული. ჩვენ ვეხმარებით ბიზნესებს გლობალურ სავაჭრო ქსელებში ინტეგრირებაში „ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის“ (TFP) მეშვეობით.

EBRD-ი საქართველოში

მთლიანი	2016-2021
€2.6 მილიარდი	**€471** მილიარდი
ჯამური ინვესტიციები ფინანსურ ინსტიტუტებში	
€664 მილიონი	**€594** მილიარდი
ადგილობრივი ვალუტის დაფინანსების ვალდებულებები	
€648 მილიონი	**€473** მილიონი
მხარდაჭერილი TFP ტრანზაქციების მოცულობა	

ბმულები

- ადგილობრივი ვალუტის და კაპიტალის ბაზრების განვითარების (LC2) ინიციატივა
- SME (მცირე და საშუალო ბიზნესების) ადგილობრივი ვალუტის პროგრამა
- ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა (TFP)

EBRD-ის ადგილობრივი ვალუტისა და კაპიტალის ბაზრების განვითარების (LC2) ინიციატივა, რომელიც 2010 წელს იქნა წამოწყებული, მიზნად ისახავს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების გაძლიერებას და ადგილობრივი ვალუტის გამოყენების წახალისებას EBRD-ს ინვესტირების ქვეყნებში.

მიღწევები და შედეგები: მდგრადი ფინანსური სექტორი

ჩვენ მხარს ვუჭერთ ფინანსური ბაზრის განვითარებას და მდგრადობას შემდეგი გზით:

- ადგილობრივი კაპიტალის ბაზრების რეგულირების გაძლიერება და საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება ტექნიკური დახმარების, პოლიტიკის დიალოგისა და ეროვნული ბანკის შესაძლებლობების განვითარება (მაგ. დერივატივების შესახებ ახალი კანონი, ფაქტორინგის რეგულაციები).
- ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამით, ადგილობრივი ბანკების განვითარება ვაჭრობასთან დაკავშირებული ფინანსური პროდუქტების უზრუნველსაყოფად და მათი გლობალური ვაჭრობის დაფინანსებაში შემდგომი ინტეგრაციის მხარდაჭერა.

ხელს ვუწყობთ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე წვდომის გაუმჯობესებას შემდეგი გზით:

- საკრედიტო ხაზების დანერგვა ოთხი ადგილობრივი პარტნიორი ბანკის მეშვეობით ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის მოდერნიზაციის მხარდასაჭერად, რათა მათ შეძლონ სრულად ისარგებლონ DCFTA-ს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობებით (განხორციელდა 200-ზე მეტი ქართული SME ბიზნესის დაფინანსება).
- რისკის შემცირება რისკების გაზიარების მექანიზმით, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კრედიტების გაცემის თვალსაზრისით ბანკების შესაძლებლობის გაძლიერებით, ორ ადგილობრივ პარტნიორ ბანკთან თანამშრომლობით (19 ტრანზაქცია, ჯამში 60 მილიონი ევრო).
- მიკრო და მცირე ბიზნესისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის დივერსიფიკაცია არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების (დაზღვევა, ლიზინგი, მიკროსაფინანსო) მხარდაჭერით. მაგ. თიბისი ლიზინგისთვის 3 მილიონი ევროს სესხის გაცემა.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ადგილობრივ ვალუტაში დაფინანსებას:

- ეკონომიკური სექტორის სხვადასხვა მონაწილისთვის ადგილობრივ ვალუტაში 2.1 მილიარდ ევროზე მეტი დაფინანსების უზრუნველყოფა.
- ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ემისიებში მონაწილეობა (სს ევექსის მიერ ლარში დენომინირებული პირველი უზრუნველყოფილი კორპორატიული ობლიგაციების ჩათვლით).
- ეროვნული პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფო და ევრო ობლიგაციების ლარში გამოშვება.

ფულის და კაპიტალის უფრო გამჭვირვალე ბაზრები

ჩვენ მხარი დავუჭირეთ თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთის რეფორმას (TIBR, ურისკო ერთდღიანი განაკვეთის ნიშნული), რამაც ახალი და სანდო ინდექსის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. ეს უმნიშვნელოვანესია ლარის და კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის. ახალი TIBR არის მძლავრი ბანკთაშორისი ინდიკატორი, რომელსაც ბაზრის მონაწილეები იყენებენ ნაღდი ფულის და დერივატივების კონტრაქტებში. EBRD-მ ასევე გამოუშვა TIBR ლარში დენომინირებული პირველი ობლიგაციები და სესხები.

ვაჭრობის დაფინანსების გაძლიერება COVID-19-ის კრიზისის დროს

ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამით 2020-21 წლებში ჩვენ მხარი დავუჭირეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის დაფინანსებას 180 მილიონ ევროზე მეტი დაფინანსების გამოყოფით.

> **"EBRD-ისა და ევროკავშირის მიერ შეთავაზებული საკრედიტო ხაზი ჩვენს საჭიროებებზე ყველაზე მორგებული იყო. ჩვენ ორიენტირებული ვართ უწყვეტ განვითარებაზე - ჩვენი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, პერსონალისთვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნაზე. ეს არის ის, რაც ჩვენს კომპანიას გამოარჩევს."**
>
> **ლადო გიორგაძე, მოდის სახლი „მატერიას" აღმასრულებელი დირექტორი**

ინოვაციური ფინანსური პროდუქტები

EBRD-მ საქართველოში უმსხვილესი ჯანდაცვის სერვისის პროვაიდერის მიერ გამოშვებულ ქართულ ლარში დენომინირებულ პირველ უზრუნველყოფილ კორპორატიულ ობლიგაციებში 20 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა. შემოსული თანხა გამოყენებული იქნა არსებული ვალისა და კაპიტალური ხარჯების საჭიროებების რეფინანსირებისთვის კომპანიის ჯანდაცვის სერვისების შემდგომი განვითარებისთვის. ბანკმა ასევე გამოუშვა პირველი ევრო ობლიგაცია დენომინირებული და დაფარული ლარში. 5-წლიანი ობლიგაციების მოცულობამ 120 მილიონი ლარი შეადგინა.

ადგილობრივი ვალუტის დაფინანსების გაზრდა

საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაზე მიმართული EBRD-ის დაფინანსების თითქმის 75 პროცენტი ქართულ ლარში არის გაცემული.

წაიკითხეთ საქართველოს ახალი კანონი დერივატივების შესახებ. იგი ქმნის საკანონმდებლო ბაზას დერივატივებით ტრანზაქციებისთვის და ითვალისწინებს მათ საბოლოობასა და აღსრულებას, ურთიერთჩათვლას, დასრულების შეთანხმებებს და ფინანსურ უზრუნველყოფას.

იხილეთ, როგორ დაეხმარა EBRD-ის EU4Business - საკრედიტო ხაზიდან გაცემული სესხი საქართველოს მოდის სახლ „მატერიას" აღჭურვილობისა და ტექნიკის მოდერნიზებაში და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაში.

წაიკითხეთ EBRD DCFTA-ს დაფინანსების ფონდის შესახებ, რომელიც ეხმარება ქართულ მცირე და საშუალო საწარმოებს სრულად ისარგებლონ ევროკავშირის ერთიან ბაზარზე წვდომით პროდუქციის ხარისხსა და მომსახურების მოდერნიზაციაში ინვესტირების გზით.

EBRD საქართველოში

მდგრადი ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური სერვისები

2016-2021

მდგრადი განვითარების მიზნები

საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო რეგიონია. თუმცა გაუმჯობესების მიუხედავად, ქვეყნის შედარებით ცუდი სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა ზღუდავს გარე და შიდა ურთიერთკავშირს. საქართველო განსაკუთრებით ჩამორჩება საზღვაო ნავსადგურისა და სატრანსპორტო სერვისების ეფექტურობის, გზების ხარისხის, აეროპორტთან კავშირის, ლოგისტიკური კომპეტენციის და მონიტორინგის თვალსაზრისით. ინვესტიციები ტრანსპორტის სექტორის სარეაბილიტაციო/მოვლის სამუშაოებში და ახალ პროექტებში, განსაკუთრებით სოფლად, ზრდის დაჩქარებისა და კერძო სექტორის დივერსიფიკაციის წინაპირობაა. აუცილებელია სანიტარიული ობიექტების და წყალმომარაგების განვითარება, განსაკუთრებით სოფლად. ასევე, საჭიროა ნარჩენების მართვის გაუმჯობესება რადგან ნაგავსაყრელებზე ნარჩენების განთავსება კვლავ რჩება გატანის უპირატეს მეთოდად.



როგორ ვმუშაობთ ჩვენ

EBRD-ს ყურადღება მიმართულია ინფრასტრუქტურის ხარისხისა და კავშირის ამაღლებაზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ ეფექტური ეკონომიკური ურთიერთქმედების, ჩართულობისა, გენდერული თანასწორობის და გარემოს დაცვის გათვალისწინებით. ჩვენ ვეხმარებით მუნიციპალური მომსახურების მიმწოდებლების ოპერაციული და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფით შემოსავლების უკეთესი შეგროვებისა და ხარჯთეფექტურობის ამაღლებით. ჩვენი მიზანია საზოგადოების უკეთ ინფორმირებულობას გარემოსა და კლიმატის საფრთხეების შესახებ. ჩვენ ვეხმარებით ქალაქებს გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრაში, მდგრად ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების, პოლიტიკის დიალოგისა და შესაძლებლობების გაძლიერებით. საქართველო არის ბანკის მწვანე ქალაქების პროგრამის ფლაგმანი.

EBRD-ი საქართველოში

მთლიანი	2016-2021
€1.3 მილიარდი	**€766** მილიონი
ჯამური ინვესტიციები მდგრად ინფრასტრუქტურაში	
€319 მილიონი	**€297** მილიონი
ჯამური ინვესტიციები მუნიციპალურ და გარემოსდაცვით ინფრასტრუქტურაში	
€184 მილიონი	**€114** მილიონი
ჯამური ინვესტიციები ტრანსპორტში	

ბმულები

- EBRD-ის მწვანე ქალაქების პროგრამა (თბილისი და ბათუმი)
- EBRD-ის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროგრამა
- მწვანე კლიმატის ფონდი

EBRD GREEN CITIES

EBRD-ის მწვანე ქალაქების პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქების და მათი მაცხოვრებლებისთვის მდგრადი მომავლის უზრუნველყოფას. პროგრამა ამას აღწევს ქალაქების გარემოსდაცვითი გამოწვევების, მდგრადი ინფრასტრუქტურის ინვესტიციების, და პოლიტიკის ზომების დაკავშირებით.

მიღწევები და შედეგები: მდგრადი ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური სერვისები

ჩვენ ხელს ვუწყობთ ინკლუზიური და მდგრადი, ინფრასტრუქტურის განვითარებას შემდეგი გზით:

- EBRD-ის მწვანე ქალაქების პროგრამის ფარგლებში ძირითადი გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა თბილისსა და ბათუმში მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმების (GCAPs) მეშვეობით.
- მწვანე საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მაგ. ელექტრო და შეკუმშული ბუნებრივი აირის (CNG) ავტობუსების პროგრამების მეშვეობით თბილისსა და ბათუმში, ექვს რეგიონულ ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ავტობუსების დაფინანსება, და ა.შ.
- მყარი ნარჩენების შეგროვების გაუმჯობესება 60-ზე მეტ მუნიციპალიტეტში და ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობის მხარდაჭერა.
- ურბანული ინფრასტრუქტურის დაუცველი ჯგუფების საჭიროებებზე მორგება. (მაგ. უსაფრთხოება, ფინანსური ხელმისაწვდომობა და ადაპტირება).

ჩვენ ვეხმარებით ინფრასტრუქტურის კავშირის გაუმჯობესებას შემდეგი გზით:

- ცოდნის მობილიზება ახალი პრაქტიკის დამკვიდრების, და საჯარო და კერძო პარტნიორობის (PPP) შესახებ კანონის შესამუშავებლად, რომელიც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების გაზრდას.
- ჩრდილოეთ-სამხრეთის (ქვეშეთი-კობის) დერეფნის განვითარების ხელშეწყობა.

პირველი ელექტრო ავტობუსები ქვეყნის საზოგადოებრივ ტრანსპორტში

EBRD-მ მხარი დაუჭირა 8 დაბალბაქნიანი ელექტრო ავტობუსის შეძენას ბათუმში, საქართველოს უდიდეს ზღვისპირა ქალაქში. ეს არის პირველი ელექტრო-ავტობუსები ქვეყანაში, რომლებიც ელექტროენერგიის დაახლოებით 80%-ს მოიხმარენ განახლებადი ენერგიის წყაროებიდან.

გაუმჯობესებული მუნიციპალური ტრანსპორტი

EBRD ეხმარება თბილისს გააუმჯობესოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობა, უსაფრთხოება და ეფექტურობა და წაახალისოს გადანაცვლება კერძოდან საზოგადოებრივ ტრანსპორტზე.

„ჩემთვის, როგორც ორი შვილის დედისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია სუფთა ჰაერი და გარემო. ამიტომ ეს ახალი "მწვანე" ავტობუსები ძალიან მისასალმებელია. მე მათ თითქმის ყოველდღე ვიყენებ."

ნატალია მაზიაშვილი, თბილისის მაცხოვრებელი

ნარჩენების უკეთესი მართვა

EBRD-ის ინვესტიციები 60-ზე მეტ მუნიციპალიტეტს დაეხმარა ნარჩენების შეგროვების მოცვის გაზრდაში, ზოგიერთ შემთხვევაში 50%-ზე მეტით.

პრაქტიკული მაგალითის შედეგები

ნახეთ, როგორ ვაძლიერებთ მუნიციპალურ ტრანსპორტს საქართველოს მასშტაბით

წაიკითხეთ თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესებაზე, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობასთან ერთად. ნახეთ რას ფიქრობენ თბილისელები „მწვანე“ ავტობუსებზე.

წაიკითხეთ EBRD-ის პირველი პროექტის შესახებ, რომელიც მუნიციპალურ ავტოპარკში ელექტრო ავტობუსებს ეხება.

მყარი ნარჩენების უკეთესი შეგროვება და უტილიზაცია
EBRD საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტმა საქართველოს 66 მუნიციპალიტეტს მიაწოდა 146 თანამედროვე, უკანა ჩატვირთვის მყარი ნარჩენების სატვირთო მანქანა და 8763 მყარი ნარჩენების კონტეინერი.



უკეთესი მუნიციპალური ტრანსპორტი
EBRD-მ დააფინანსა 500-ზე მეტი ახალი დაბალბაქნიანი ავტობუსის შეძენა თბილისში, გორში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, თელავსა და ზუგდიდში. ამან გაზარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სანდოობა, უსაფრთხოება და ეფექტურობა, ამავდროულად სარგებელი მოუტანა გამონაბოლქვის დაახლოებით 34 პროცენტამდე შემცირებით.

ელექტრო ავტობუსები ბათუმისთვის
ჩვენ მხარი დავუჭირეთ (საქართველოში პირველი) 8 ელექტრო-ავტობუსის, და 40 ახალი დაბალ-გამონაბოლქვიანი ავტობუსის შეძენას (Euro 5 ძრავით). ნავარაუდევია, რომ ეს სატრანსპორტო საშუალებები უნდა გააუმჯობესებენ მომსახურებას ქალაქის 169,000 მაცხოვრებლისთვის და ტურისტებისთვის.

EBRD მწვანე ქალაქების პროგრამა თბილისსა და ბათუმში
თბილისი და ბათუმი შეუერთდნენ EBRD-ის მწვანე ქალაქების პროგრამას, რომელიც ეხმარება მუნიციპალურ მთავრობებს პრიორიტეტების განსაზღვრაში და ინტერვენციების განხორციელებაში ადგილობრივი გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრის მიზნით. თბილისის ავტობუსების და მყარი ნარჩენების პროექტები, ასევე ბათუმის ავტობუსების პროექტი განხორციელდა მწვანე ქალაქების პროგრამის ფარგლებში.



EBRD საქართველოში

ენერგოეფექტურობა და მწვანე ენერგეტიკა

2016-2021

მდგრადი განვითარების მიზნები

6 CLEAN WATER AND SANITATION

7 AFFORDABLE AND CLEAN ENERGY

9 INDUSTRY, INNOVATION AND INFRASTRUCTURE

11 SUSTAINABLE CITIES AND COMMUNITIES

ენერგეტიკის სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში და როგორც წესი, უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმსხვილესი მიმღებია. ჰიდროენერგეტიკის წყალობით, საქართველოს მშპ-ში CO_2 ინტენსივობა მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. კერძო სექტორის ძლიერი ინტერესი ჰიდრო რესურსებისადმი განპირობებულია თანმიმდევრული რეგულირების პოლიტიკის ტრანსფორმაციით, მათ შორის, მიმდინარე ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაციით. თუმცა, თერმული წარმოებისთვის გაზის სუბსიდიები დაღმავალ ზეწოლას ქმნის საბოლოო სამომხმარებლო ტარიფებზე და უარყოფითად ზემოქმედებს ელექტროენერგიის სხვა წყაროების ბაზარზე. შედეგად, ჰიდროენერგეტიკის გარდა განახლებადი წყაროები თითქმის არ არსებობს, მიუხედავად უზარმაზარი პოტენციალისა, მაშინ როცა ელექტროენერგიის გამომუშავების მუდმივი ზრდა ვერ ეწევა მზარდ მოხმარებას, რომელიც გაორმაგდა ბოლო 20 წლის განმავლობაში. ამან საქართველო ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორად აქცია. შესაბამისად, მიწოდება-მოთხოვნის სხვაობა იზრდება.



როგორ ვმუშაობთ ჩვენ

EBRD ინვესტიციების და პოლიტიკის დიალოგის მეშვეობით ეხმარება საქართველოს მწვანე, დაბალი ნახშირბადის შემცველი და მდგრადი ეკონომიკის აშენებაში. ჩვენი მიდგომა ითვალისწინებს Covid-19-ით გამოწვეულ კონტექსტს, და ყურადღებას ამახვილებს მწვანე აღდგენის მხარდაჭერის შესაძლებლობებზე. ბანკი ასევე უზრუნველყოფს საკრედიტო ხაზებს ადგილობრივი პარტნიორი ბანკების მეშვეობით, მწვანე ეკონომიკის დაფინანსების მექანიზმის (GEFF) საშუალებით. GEFF აერთიანებს ტექნიკურ ცოდნას ფინანსებთან, რათა დაეხმაროს კლიენტებს მაღალი ხარისხის ტექნოლოგიებში ინვესტირებაში და ხელი შეუწყოს მათი პოზიტიური გამოცდილების დემონსტრირებას.

EBRD-ი საქართველოში

მთლიანი	2016-2021
€1 მილიარდი	€703 მილიონი

მწვანეეკონომიკის დაფინანსების ვალდებულებები

€440 მილიონი	€195 მილიონი

ჯამური ინვესტიციები ენერგეტიკაში

ბმულები

- მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა
- მწვანე კლიმატის ფონდი

[მწვანე ეკონომიკის დაფინანსების ფონდი (GEFF)](#) საქართველოში, არის საკრედიტო ხაზი მონაწილე ფინანსური ინსტიტუტებისთვის ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის სფეროში ინვესტიციების განსახორციელებლად, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სექტორებში.

მიღწევები და შედეგები: ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგია

ჩვენ ხელს ვუწყობთ ენერგიის მოხმარების ინტენსივობის შემცირებას:

- რეგულირების გაუმჯობესება, მათ შორის, ბანკის მხარდაჭერით ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმისა და ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის შემუშავება.
- ენერგოეფექტურობის ინვესტიციების და საყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოეფექტურობის პროექტების მხარდაჭერა სამი ადგილობრივი პარტნიორი ბანკის მეშვეობით, GEFF პროგრამის ფარგლებში (გაფორმდა 179 ქვესესხი 7.8 მილიონი ევროს ოდენობით).
- ელექტროენერგიის წარმოების ქსელის (მაგ., ენგურჰესის) და გადამცემი ქსელის რეაბილიტაციის ხელშეწყობა რეგიონთაშორისი კავშირის გასაუმჯობესებლად და განახლებადი ენერგიის ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით.

ჩვენ მხარს ვუჭერთ განახლებად ენერგეტიკაში ინვესტიციების გაფართოებას და სტიმულირებას:

- ქარის ენერგიის ხელშეწყობა, მაგ. გორის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და პრივატიზების დაფინანსების და 50 მგვტ-მდე სიმძლავრის მზის ენერგიის აუქციონზე რეალიზაციის მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვით.
- რეგულირების გაუმჯობესება, მაგ. ენერგეტიკის სექტორში დერეგულირების ზემოქმედების შეფასება ჩვენი მხარდაჭერით.
- რამდენიმე კერძო ჰესის, ასევე პირველი ადგილობრივ საკუთრებაში არსებული ჰესის მშენებლობის ხელშეწყობა, რომელიც ნაწილობრივ გაიყიდა იაპონელ კერძო ინვესტორზე.

ჩვენ მხარს ვუჭერთ თანაბარ შესაძლებლობებს ენერგეტიკის სექტორში:

- ტექნიკურ და მენეჯერულ პოზიციებზე ქალების მხარდაჭერა და ჩართულობის ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობის უფრო მაღალი სტანდარტების გამოყენებით ბანკის საქმიანობის სფეროებში.

კლიმატის ცვლილებები - ჩვენ მიერ მიღებული ზომები

EBRD-ის მხარდაჭერით საქართველომ მიიღო ახალი ენერგოეფექტურობის კანონები. მოსალოდნელია, რომ მათი ამოქმედება საშუალებას მისცემს საქართველოს დაზოგოს ენერგიის მოხმარება 14 პროცენტით 2025 წლისთვის, რაც დაეხმარება ქვეყანას შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში და გაზარდოს მისი ენერგეტიკული უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა.

ენერგოეფექტურობის გაზრდა

EBRD-ის ენერგოეფექტურობაზე მიმართულმა ძალისხმევამ ხელი შეუწყო 2016-2019 წლებში საქართველოს მშპ-ს ენერგო ინტენსივობის 9 პროცენტით შემცირებას. ახლა ეს მაჩვენებელი მსოფლიო და რეგიონულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

მეტი სუფთა ჰაერი

EBRD-ის ინვესტიციები საქართველოში, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს წელიწადში 1,397,000 ტონაზე მეტი CO2-ის ემისიების შემცირებას. ეს უდრის 300 000-ზე მეტი მანქანის ქვეყნის გზებიდან ამოღებას.

„ახლა ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ მაღალი ხარისხის ღვინოების დამზადება უფრო ეფექტური გზით და გადავიდეთ უფრო პასუხისმგებლიანი ბიზნესისკენ.“

მერაბ მიქაშავიძე, კომპანია შპს ქართული ვაზი და ღვინის ჯგუფის დირექტორი და EBRD GEFF პროგრამის ბენეფიციარი.

დაზოგილი ენერგია

ჩვენი ინვესტიციები, სავარაუდოდ, ყოველწლიურად დაზოგავს 20 მილიონ GJ-ზე მეტ პირველად ენერგიას, რაც 450,000-ზე მეტი ოჯახის წლიური მოხმარების ექვივალენტურია.

მეტი განახლებადი ენერგია

EBRD-ის ჩართულობამ საქართველოს ენერგეტიკული სექტორის დერეგულაციასა და რეაბილიტაციაში გზა გაუხსნა არა-ჰიდრო, განახლებადი ენერგიის პროექტებსაც, როგორიცაა გორის ქარის ელექტროსადგური, პირველი კომერციული ქარის ელექტროსადგური მთელი კავკასიის რეგიონში.

[წაიკითხეთ](#) საქართველოს ახალი გაუმჯობესებული ენერგოეფექტურობის კანონმდებლობა და როგორ დაეხმარა EBRD მის შემუშავებას.

[წაიკითხეთ](#) როგორ უჭერს მხარს EBRD საქართველოში ენერგოეფექტური ღვინის წარმოებას GEFF პროგრამის მეშვეობით.

[წაიკითხეთ](#) როგორ უჭერს მხარს EBRD საქართველოს გეგმებს მწვანე წყალბადის წარმოების სფეროში, ანუ საწვავის, რომელიც წარმოიქმნება განახლებადი ელექტროენერგიის გამოყენებით გამომუშავებული წყლის ელექტროლიზით. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს 2050 წლისთვის მიაღწიოს წმინდა ნულოვანი ემისიების მიზანს.

პარტნიორობები

EBRD მხარს უჭერს გარდამავალ პროცესს კომპლექსური მიდგომის გამოყენებით - ინვესტიციების, რისკის შემცირების, შესაძლებლობების განვითარებისა და ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, ფინანსურ ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან პოლიტიკის დიალოგის წარმოების კომბინაციით. დონორებთან პარტნიორობა გადამწყვეტია EBRD-ის მოქმედების არეალის ქვეყნებში გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული გამოწვევების და ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული პრობლემების გადასაჭრელად, ბაზრის შედეგების გასაუმჯობესებლად (მნიშვნელოვანი გარე ფაქტორების არსებობის პირობებში) და ინვესტიციების მოსაზიდად მდგრადობისა და ტრანზიციის ხელშესაწყობად. მდგრადი და ინკლუზიური კერძო სექტორის განვითარების კონტექსტში, დონორები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაბალი ნახშირბადის ეკონომიკის მშენებლობაში და კლიმატის რისკების შერბილებაში. EBRD მუშაობს დონორებთან მისი ოპერირების დაწყების დღიდან, და ამჟამად მართავს ურთიერთობებს 50-მდე სხვადასხვა პარტნიორისგან შემდგარ ფართო და მრავალფეროვან დონორ საზოგადოებასთან - ძირითადად მთავრობებთან, მრავალმხრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ჩვენი პარტნიორობის შედეგები

- ჩვენი თანამშრომლობა ევროკავშირთან უზრუნველყოფს დაფინანსებას და საკონსულტაციო მომსახურებას ქართული მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციისა და DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის ხელშესაწყობად. ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებს EU4Business ინიციატივის მეშვეობით.
- აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის (E5P, ევროკავშირი) ფონდთან ერთად დავაფინანსეთ თბილისის ავტობუსის პროექტი და ბათუმისთვის ელექტრო ავტობუსების შეძენა.
- EBRD-მ და ევროკავშირმა ასევე წამოიწყეს Digital RE4RM პროგრამა, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების ხელშეწყობა.
- EBRD მწვანე კლიმატის ფონდთან ერთად აფინანსებს თბილისის მეტროპოლიტენის ახალ ვაგონებს.
- EBRD-ის პროგრამა „ქალები ბიზნესში“ ფინანსდება ევროკავშირის, შვედეთის, EBRD-ის ადრეულ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდისა და EBRD-ის მცირე ბიზნესის ზემოქმედების ფონდის მიერ.
- ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება საქართველოში ხორციელდება EBRD-ის მცირე ბიზნესის მოქმედების ფონდის მიერ. ფონდის აქტიური დონორები არიან იტალია, იაპონია, კორეა, ლუქსემბურგი, ნორვეგია, შვედეთი, შვეიცარია, ტაიპეი ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.
- აზიის განვითარების ბანკთან ერთად EBRD ეხმარება საქართველოს მთავრობას ჩრდილოეთ-სამხრეთის საგზაო დერეფნის განახლებაში.
- ევროკავშირის სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმი და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო მხარს უჭერენ EBRD-ის მყარი ნარჩენების პროექტებს საქართველოს მასშტაბით.
- ავსტრიის DRIVE-ის ფონდი მხარს უჭერს EBRD-ის ენგურჰესის რეაბილიტაციაზე მიმართულ ძალისხმევაში.

ითანამშრომლეთ ჩვენთან

დაფინანსება
სესხები
კაპიტალი
უზრუნველყოფა (მათ შორის, ადგილობრივი ბანკები ვაჭრობის დასაფინანსებლად)

კონსულტირება
გაფართოება
პროცესების და მართვის გაუმჯობესება
სტანდარტების შესრულება
მარეგულირებელ გარემოში გარკვევა
თანამშრომელთა მომზადება

საქონელი და მომსახურება
შესყიდვები
კარიერა

მონაწილეობა
მიიღეთ მონაწილეობა **EBRD**-ის პოლიტიკის და სტრატეგიების განსაზღვრაში

კონტაქტები

ქ-ნ კატარინა ბიორლინ ჰანსენი
EBRD-ს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

EBRD-ის საქართველოს ოფისი
მერანის ბიზნეს ცენტრი
გრიბოედოვის ქუჩა 31ა, მე-6 სართული
0108 თბილისი
საქართველო
ტელ: +995 32 2447400

ახალ ბიზნესთან დაკავშირებით კითხვებით მიმართეთ
ბიზნესის განვითარების განყოფილება
ტელ: +44 20 7338 7168
ელ.ფოსტა: newbusiness@ebrd.com

მონაწილეობა

1992 წლის 4 სექტემბერი
საქართველო შეუერთდა EBRD-ს

1994
EBRD-მ დაიწყო საქართველოში ინვესტირება

€30.01 მილიონი
საქართველოს კაპიტალში ინვესტიცია

ბ-ნი ლაშა ხუციშვილი
EBRD-ს საქართველოს მხრიდან მმართველი

ქ-ნ კლარა კროლი
EBRD-ს დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელი საქართველოს საკითხებზე

EBRD-ის ქვეყნების შედეგების მიმოხილვის სანახავად ეწვიეთ:
www.ebrd.com/what-we-do/country-results-snapshots